



ონის მუნიციპალიტეტის მერია

ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი



N 403
01/03/2021

403-02-4-202103011714



ონის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

- დამტკიცდეს:
 - ონის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი დანართი 1 - ის შესაბამისად;
 - 2021 - 2022 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი 2 - ის შესაბამისად;
 - საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი განაცხადის ფორმები მე-3-მე-6 დანართების შესაბამისად.
- დაევალოს საფინანსო სამსახურის უფროსს (ბატონ ვალერიან გობეჯიშვილს) ერთი თვის ვადაში შეადგინოს:
 - საბიუჯეტო კალენდართან (დანართი 2) შესაბამისი, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი;
 - ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა;
 - ინსტრუქცია მოქალაქეებისაგან ახალი პროგრამების ინიცირების უზრუნველსაყოფად;
 - რეკომენდაციები ახლად შემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით;
 - წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები მე-7-მე-8 დანართის შესაბამისად.
- საფინანსო სამსახურმა, ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება.
- წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ ონის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე“ ონის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 29 მაისის N955 ბრძანება.
- ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13) მისი დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ჩიკვაძე

მუნიციპალიტეტის მერი

